კითხვარი და კონსულტაციები მის შევსებაზე **უფასოა!**

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საქსტატი**

0180 თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №30, ტელ: (995 32) 236 72 10/217
ელ-ფოსტა: info@geostat.ge. ვებ-გვერდი: www.geostat.ge

# საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა

**კითხვარი N 05.2.1.3 (კვარტალური)**
დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 19.02.2019 №4 დადგენილებით

* კითხვარს წარმოადგენს ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, განურჩევლად ეკონომიკური საქმიანობის სახისა, საკუთრების ფორმისა და საწარმოს ზომისა, არა უგვიანეს **საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 25-ე დღემდე** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ტერიტორიული ორგანოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში.

* „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქსტატის მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური. პასუხისმგებლობა ინფორმაციის წარუდგენლობისათვის გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $177^{12}$ მუხლით.

* ინდივიდუალური მონაცემები ითვლება კონფიდენციალურად და დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლით

*** რუხი ფერის უჯრები ივსება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში**

*** კითხვარი შეივსება დარიცხვის მეთოდის მიხედვით.**

**ინტერვიუერის სახელი, გვარი, ხელმოწერა**
(ინტერვიუერის ან საქსტატის წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა, რომელმაც უშუალოდ ჩაიბარა რესპოდენტისაგან კითხვარი)

საწარმოს **სრული დასახელება**

ოსფკ-ის კოდი

სტატისტიკური რეესტრის საიდენტიფიკაციო ნომერი

შეავსეთ საწარმოს დასახელება

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

**ხელმძღვანელი**

სახელი, გვარი

ხელმოწერა

**დაკვირვების პერიოდი**
**2019 წელი**
* X გრაფიკული აღნიშვნის დასმის ნიმუში, გთხოვთ ჩასვათ შესაბამის უჯრაში

| | |
|---|---|
| ☐ | I |
| ☐ | II |
| ☐ | III |
| ☐ | IV |

## ნაწილი I. საიდენტიფიკაციო მონაცემები

I **იურიდიული** მისამართი (სარეგისტრაციო დოკუმენტის მიხედვით)

მუნიციპალიტეტი

ქალაქი,დაბა, თემი
*გთხოვთ ხაზი გაუსვით ერთ-ერთს
სოფელი

ქუჩა და სხვა მისამართი

საფოსტო ინდექსი

ატეკ-ის კოდი

II **ფაქტიური** მისამართი*****

მუნიციპალიტეტი

ქალაქი, დაბა, თემი
*გთხოვთ ხაზი გაუსვით ერთ-ერთს
სოფელი

ქუჩა და სხვა მისამართი

საფოსტო ინდექსი

ატეკ-ის კოდი

* - ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოს რამოდენიმე ადგილობრივი ერთეული გააჩნია ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ამასთან სათაო ოფისი სხვა მუნიციპალიტეტშია განთავსებული. ასეთ შემთხვევებში ფაქტიური მისამართის განსაზღვრის მიზნით უნდა ისარგებლოთ შემდეგი მითითებებით:

* **სათაო ოფისი** ქვეყნის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მდებარეობს და საწარმოს ადგილობრივი ერთეული არ გააჩნია – ამ შემთხვევაში ფაქტიური მისამართია შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

* **სათაო ოფისი ქვეყნის** ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მდებარეობს და საწარმოს გააჩნია 1 ადგილობრივი ერთეული ქვეყნის რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტში:

ა) იმ შემთხვევაში, თუ სათაო ოფისიდან ხდება მხოლოდ მენეჯმენტი – ფაქტიური მისამართია ადგილობრივი ერთეულის მისამართი.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სათაო ოფისშიც ხდება ეკონომიკური საქმიანობა (წარმოება, ვაჭრობა და სხვა) - ფაქტიური მისამართია სათაო ოფისის მისამართი.

* **სათაო ოფისი დედაქალაქში** მდებარეობს და საწარმოს გააჩნია საქმიანობის ერთი სახე და 2 ან მეტი ადგილობრივი ერთეული: აქედან ერთ-ერთი დედაქალაქში, დანარჩენები – ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, ასეთ შემთხვევაში ფაქტიური მისამართია – დედაქალაქი (სათაო ოფისის მისამართი).

* **სათაო ოფისი დედაქალაქში** მდებარეობს და საწარმოს გააჩნია 2 (ან მეტი) ადგილობრივი ერთეული – ერთი A მუნიციპალიტეტში (ღვინის ქარხანა) და მეორე B მუნიციპალიტეტში (მაღაზია), ამასთან სათაო ოფისი დაკავებულია მხოლოდ მენეჯმენტის ფუნქციებით. ამ შემთხვევაში ფაქტიური მისამართი იქნება იმ ადგილობრივი ერთეულის მისამართი, რომელიც წლიური ბრუნვის უდიდესი მოცულობით გამოირჩევა

II **საწარმოს (ხელმძღვანელის) რეკვიზიტები**

**ტელეფონის ნომერი** (შიდა ნომერი)

**მობილური ტელეფონის ნომერი**

**ფაქსის ნომერი**

**ელ. ფოსტის მისამართი**

**ვებ-გვერდის მისამართი** http:\\www

III **საკორესპონდენციო რეკვიზიტები**

(თუ საწარმო აღნიშნული კითხვარის შესავსებად სარგებლობს აუდიტორული ან საბუღალტრო კომპანიის მომსახურებით, მიუთითებს ამ კომპანიის რეკვიზიტებს, ხოლო თუ არ სარგებლობს ამ მომსახურებით – მიუთითებს მთავარი ბუღალტრის ან იმ პიროვნების პირად რეკვიზიტებს, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული კითხვარის შევსებაზე. ამ შემთხვევაში კომპანიის დასახელება არ შეივსება)

კომპანიის დასახელება

სახელი, გვარი

საფოსტო ინდექსი

მუნიციპალიტეტი

ატეკ-ის კოდი

ქალაქი, დაბა, თემი - *გთხოვთ ხაზი გაუსვათ ერთ-ერთს

სოფელი

ქუჩა და სხვა მისამართი

**ტელეფონის ნომერი** (შიდა ნომერი)

**მობილური ტელეფონის ნომერი**

**ფაქსის ნომერი**

**ელ. ფოსტის მისამართი**

IV **საკუთრების ფორმა**

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის შემთხვევაში - საწესდებო კაპიტალის სტრუქტურის მიხედვით)

პროცენტი (მეათედი ნიშნით)

სფკ-ის კოდი

კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/\ები)

კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)

სახელმწიფო

თვითმმართველობა

*** - დამფუძნებელი ქვეყნები**
(გთხოვთ დააფიქსიროთ)

V **საქმიანობის სახე**

* თხოვთ აღწეროთ საქმიანობის სახეები ცალ-ცალკე სტრიქონებში და ამასთან, **სეზონური** საქმიანობისას მონიშნეთ უჯრა-,,ს".
1-ელ სტრიქონში მიუთითეთ ძირითადი საქმიანობის სახე,
მე-2 სტრიქონში უმთავრესი არაძირითადი საქმიანობის სახე, ხოლო მე-3 და მე-4 სტრიქონებში საქმიანობის დანარჩენი სახეები.

ეძსკ-ის კოდი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | | ს |
| 2 | | | ს |
| 3 | | | ს |
| 4 | | | ს |

# ნაწილი II. შემოსავლები და ხარჯები

| მაჩვენებლის დასახელება | კოდი | სულ, (ლარი) | კომენტარი |
|---|---|---|---|
| **ბრუნვა**<br>საქმინობის სახეების მიხედვით<br>* 100-103 უჯრებში ჩანაწერი გააკეთეთ თითოეული საქმიანობის სახის მიხედვით წინა გვერდზე ჩამოთვლილი საქმიანობის სახეების თანმიმდევრობის გათვალისწინებით | 100 | 1 | გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსა-ხურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით) დღგ-სა და აქცი-ზის გარეშე. ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივე-ბის გაყიდვა, აგრე-თვე სუბსიდიები.<br>მე-100 სტრიქონში ჩაიწერება ბრუნვა ძირითადი საქმიანობის მი-ხედვით, 101-ში – უმთავრესი არაძირითადი საქმიანობის მიხედ-ვით, 102-ში და 103-ში საქმიანობის და-ნარჩენი სახეების მიხედვით.<br>**ბრუნვის მოცულობაში აისახება აგრეთვე სამშენებლო საწარმოების მიერ დაკვეთისათვის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული დაუმთავრებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობა.** |
| | 101 | 2 | |
| | 102 | 3 | |
| * გთხოვთ, მიუთითოთ მხოლოდ წმინდა აქტივები, თუ ახორციელებთ საფინანსო შუამავლობას | 103 | 4 | |
| ბრუნვა, სულ | 104 | | თითოეული საქმიანობის სახის მიხედვით გაყიდვების ჯამი, დღგ-სა და აქციზის გარეშე. *100+101+102+103* |
| **აქედან: ჯამური ფულადი შენატანი (აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული საწარმოებისთვის)** | 105 | | აღნიშნული სტრიქონი განკუთვნილია აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული საწარმოებისათვის, რომლებიც მიუთითებენ საანგარიშო პერიოდში მოთამაშეთა მიერ განხორციელებულ ჯამურ ფულად შემონატანს |
| კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება | 110 | | საკუთარი მოხმარების ან ინვესტირებისათვის წარმოებული პროდუქცია, რაც გაანგარიშდება მიმდინარე ფასების მიხედვით. აქვე მიუთითეთ ხარჯები ფიქსირებული აქტივების საკუთარი ძალებით განხორციელებულ კაპიტალურ რემონტზე |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები | 120 | | სხვა დარიცხული საოპერაციო შემოსავლები (სუბსიდიების, გრანტების, შემოწირულობების, საწევროების სახით მიღებული შემოსავლები) რომლებიც არ აისახა 100-110 მაჩვენებლებში, მიმდინარე ფასებში. |
| **აქედან:**<br>სუბსიდიები პროდუქციაზე | 121 | | ჩაიწერება სუბსიდიები პროდუქციაზე, ანუ უშუალოდ ბრუნვასთან დაკავშირებული სუბსიდიები, რომელიც დარიცხული იქნა პროდუქციის მოცულობის პროპორციულად. |
| სუბსიდიები წარმოებაზე | 122 | | ჩაიწერება წარმოებასთან დაკავშირებული სუბსიდიები: სუბსიდიები შრომის ანაზღაურებაზე და შრომით რესურსებზე, გარემოს დაცვაზე. მასში არ შეიტანება საინვესტიციო სუბსიდიები. |
| არასაოპერაციო შემოსავლები | 125 | | დარიცხული არასაოპერაციო და გაუთვალისწინებელი შემოსავლები (საპროცენტო შემოსავლები, დივიდენდები, სხვა ფინანსური დაბანდებებიდან მიღებული შემოსავლები, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის გაყიდვიდან დარიცხული შემოსავლები, საკურსო სხვაობა და სხვა არასაოპერაციო შემოსავლები). |
| **საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები, მთლიანად** | 130 | | ***104+110+120+125*** |
| **საქონლისა და მომსახურების ყიდვები**<br>**აქედან:** | 190 | | იგულისხმება კვარტლის განმავლობაში განხორციელებული ყველა სახის საქონლისა და მომსახურების ყიდვების ჯამი (მიუხედავად იმისა, საქონელი და მომსახურება განკუთვნილია თუ არა ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის). |
| გადასაყიდად განკუთვნილი **საქონლისა და მომსახურების ყიდვები** | 200 | | კვარტლის განმავლობაში შესყიდული საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის. მაჩვენებელი გაანგარიშდება შესყიდვის ფასებში დღგ-სა და აქციზის გარეშე. |
| უსასყიდლოდ გაცემული საკუთარი წარმოების მზა პროდუქცია | 210 | | საქველმოქმედო ან სხვა მიზნით უსასყიდლოდ გაცემული მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქცია, მიმდინარე ფასებში. |
| **შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე, სულ**<br>**აქედან:** | 220 | | შრომის ანაზღაურება (ხელფასი, პრემია, დანამატი, საშვებულებო დახმარება, საკომპენსაციო გასაცემლები და სხვ.), რომელიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით) ან გაიცა ნატურალური სახით კვარტლის განმავლობაში. |
| ნატურალური სახით გაცემული | 230 | | შრომის ანაზღაურება, რომელიც გაიცა დასაქმებულ პერსონალზე საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის სახით კვარტლის განმავლობაში. |
| **სტრ.220-დან:** შრომის ანაზღაურება დასაქმებულ ქალებზე | 240 | | შრომის ანაზღაურება (ხელფასი, პრემია, დანამატი და სხვ.), რომელიც დაერიცხა დასაქმებულ ქალებს ან გაიცა მათზე ნატურალური სახით კვარტლი განმავლობაში. |
| დარიცხული სხვა ხარჯები დასაქმებულ პერსონალზე | 260 | | კვარტლის განმავლობაში დასაქმებულ პერსონალზე დარიცხული ხარჯები, რომელიც არ აისახა 220-240 მაჩვენებლებში (სოციალური დახმარება საწარმოს სახსრებიდან, ხარჯები საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურული და სხვა ასპექტით) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 270 | | სხვა დარიცხული საოპერაციო ხარჯები, (წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინება და სხვა) რომლებიცარ აისახა *190-260* სტრიქონებში, მიმდინარე ფასებში.აქვე აისახება მიმდინარე წარმოებაში გამოყენებულ ფიქსირებული აქტივებზე დარიცხული ამორტიზაცია. |
| აქედან სხვა გარე ხარჯები | 271 | | აღნიშნული სტრიქონი განკუთვნილია აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საქმიანობით დაკავებული საწარმოებისათვის, რომლებიც მიუთითებენ საანგარიშო პერიოდში მომხმარებლისათვის მოგების სახით გაცემული თანხის მოცულობას |
| არასაოპერაციო ხარჯები | 274 | | იგულისხმება არასაოპერაციო და გაუთვალისწინებელი ხარჯები (საპროცენტო ხარჯები, რეალიზებული და ჩამოწერილი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება (ამ ოპერაციებით აქტივის ნარჩენი ღირებულების შემცირების მოცულობა), მიმდინარე წარმოებაში გამოუყენებელ ფიქსირებულ აქტივებზე დარიცხული ამორტიზაცია, საკურსო სხვაობა და სხვა), მიმდინარე ფასებში. |
| **საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები, სულ** | 280 | | ***190+220+260+270+274*** |

| მაჩვენებლის დასახელება | კოდი | (ლარი) საანგარიშო პერიოდის დასაწყისათვის | კოდი | (ლარი) საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა | 300 | | 340 | | აღნიშნულ სტრიქონებში აისახება დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა (ღვინის წარმოება და ა.შ.) შეფასდება მიმდინარე ფასებში კვარტლის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული ხარჯების მიხედვით, მოსალოდნელი მოგების გათვალისწინებით (ჩათვლით). 300 და 310 სტრ.ები განკუთვნილია იმ საწარმოებისათვის, რომელთა საქმიანობაა (ძირითადი ან არაძირითადი) სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მშენებლობა (დამკვეთისათვის შესრულებული დაუმთავრებელი სამშენებლო სამუშაოების გარდა) |
| მზა პროდუქციის მარაგები | 310 | | 350 | | აღნიშნულ სტრიქონებში აისახება მზა პროდუქციის მარაგების მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის.საკუთარი წარმოების პროდუქცია, რომელიც მზადაა მიწოდებისათვის ან გასაყიდად, მიმდინარე ფასებში, მოსალოდნელი მოგების გათვალისწინებით (ჩათვლით). |
| გადაყიდვისათვის განკუთვნილი საქონლის მარაგები | 320 | | 360 | | აღნიშნულ სტრიქონებში აისახება გადაყიდვისათვის განკუთვნილი საქონლის (შეძენილი საქონელი, რომელიც ფორმისა და თვისების შეუცვლელად უნდა გადაიყიდოს) მარაგების მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლო-სათვის. |
| ნედლეულისა და მასალების მარაგები | 330 | | 370 | | აღნიშნულ სტრიქონებში აისახება ნედლეულისა და მასალების (ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწარმი, სათბობი, ტარა და ტარის მასალები, სათადარიგო ნაწილები, სამშენებლო მასალები და დეტალები მიმდინარე ფასებში) მარაგების მოცულობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. |

## 3. დასაქმება და ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში

| **მაჩვენებლის დასახელება** | კოდი | სულ (მიუთითეთ მთელ რიცხვებში) | კოდი | აქედან, ქალი (მიუთითეთ მთელ რიცხვებში) | **კომენტარი** |
|---|---|---|---|---|---|
| დასაქმებულთა საშუალო კვარტალური რაოდენობა,**სულ*** | 400 | | 410 | | საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში– დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა კვარტალის განმავლობაში. |
| აქედან, დაქირავებულთა საშუალო კვარტალური რაოდენობა* | 420 | | 430 | | საწარმოში დასაქმებულები, რომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებით, ანუ კონტრაქტით და რომელთაც დაერიცხათ და/ან მიეცათ ხელ-ფასი |
| დაქირავებულთა რაოდენობა კვარტალის დასაწყისისათვის | 440 | | 450 | | საწრმოში დაქირავებულთა რაოდენობა საანგარიშო კვარტალის პირველი თვის პირველი რიცხვისათვის |
| დაქირავებულთა რაოდენობა კვარტალის დასასრულისათვის | 460 | | 470 | | საწრმოში დაქირავებულთა რაოდენობა საანგარიშო კვარტალის ბოლო თვის ბოლო რიცხვისათვის |
| დაქირავებულთა მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობა (ათასი კაც-საათი, მეათედი ნიშნის სიზუსტით) | 480 | | 490 | | ფაქტიურად ნამუშევარი საათების რაოდენობა, როგორც ნორმირებული სამუშაო დღის ფარგლებში, ისე ზეგანაკვეთით. თუ შეუძლებელია განისაზღვროს ნამუშევარი საათების ზუსტი რაოდენობა, ისარგებლეთ შეფასებითი მიდგომით. |

ვთქვათ, I თვის (31 დღე) 1-დან 12 რიცხვის ჩათვლით (ანუ 12 დღის მაძილზე) საწარმოში მუშაობდა 30 კაცი, ხოლო 13-დან 31-ის ჩათვლით (ანუ შემ-დეგი 19 დღის მანძილზე) - 50 კაცი. შესაბამისად, I თვეში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა იქნება: (12X30+19X50)/31=42.3 ანალოგიურად გაანგარიშდება ცალ-ცალკე II და III თვეებში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა.

ვთქვათ, II თვის (28 დღე) 1-დან 15 რიცხვის ჩათვლით საწარმოში მუშაობდა 30 კაცი, ხოლო 16-დან 28-ის ჩათვლით - 50 კაცი. შესაბამისად, II თვეში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა იქნება: (15X30+12X50)/28=37.5. ვთქვათ, III თვის (31 დღე) 1-დან 20 რიცხვის ჩათვლით საწარმოში მუშაობდა 30 კაცი, ხოლო 21-დან 31-ის ჩათვლით - 49 კაცი. შესაბამისად, III თვეში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა იქნება: (20X30+11X49)/31=36.7; კვარტალის განმავლობაში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა კი წარმოადგენს I, II და III თვეების მიღებულ მაჩვენებელთა საშუალო არითმეტიკულს, ანუ: (42.3+37.5+36.7)/3=38.8

არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით დასაქმებულები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დასაქმებულთა რაოდენობაში ჩაირთვებიან მათ მიერ ფაქტიურად ნამუშევარი დროის პროპორციულად (პირველ რიგში თვეში ნამუშევარი კაც-საათები იყოფა სამუშაო დღის ნორმალურ ხანგრძლივობაზე, შემდეგ კი სამუშაო დღეების რაოდენობაზე). მაგალითად, საწარმოში, სადაც სამუშაო დღის ნორმირებული ხანგძლივობაა 8 საათი, ხოლო თვეში სამუშაო დღე - 23 (ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემთხვევაში), თუ პიროვნებამ იმუშავა 92 კაც-საათი, თვეში დასაქმებულთა საშუალო თვიურ რაოდენობაში ის ჩაითვლება, როგორც 0.5 კაცი (92/8/23=0.5). დასვენების და უქმე დღეებში დასაქმებულთა რაოდენობად ჩაითვლება წინა სამუშაო დღის დასაქმებულთა რაოდენობა. მაგალითად, თუ საწარმოს სამუშაო კვირის ხანგრძლივობაა 5 დღე და პარასკევს იმუშავა 40 კაცმა, მაშინ შაბათს და კვირას დასაქმებულთა რაოდენობად ჩაითვლება 40 კაცი.

თუ საწარმო არ ფუნქციონირებდა მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (სეზონური საწარმო და სხვა), მაშინ დასაქმებულთა საშუალო კვარტალური რაოდენობის გასაან გარიშებლად საჭიროა დავაჯამოთ ნამუშევარი თვეების დასაქმებულთა საშუალო თვიური რიცხოვნობები და მიღებული ჯამი გავყოთ 3-ზე. თუ მომუშავეს ამ საწარმოს გარდა სხვა სამუშაოც აქვს (საკუთარი საქმის ან საკუთარ მამულში მუშაობის ჩათვლით), ძირითად სამუშაოდ ჩაითვლება ის, სადაც იგი მეტ დროს ხარჯავს (მიუხედავად შემოსავლის სიდიდისა).

| მაჩვენებლის დასახელება | კოდი | კაპიტალიზებული ან შესყიდული (ფინანსური ლიზინგის ჩათვლით) კვარტლის განმავლობაში, ქვეყნის ტერიტორიაზე ადრე არაექსპლოატირებული, (ლარი) | კოდი | დანახარჯები კაპიტალურ რემონტზე და მიწის არსებით გაუმჯობესებაზე (დღგ-ს ჩათვლით), (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, სულ | 500 | | 501 | |
| მაჩვენებლის დასახელება | კოდი | კაპიტალიზებული ან/და შესყიდული (ფინანსური ლიზინგის ჩათვლით) კვარტლის განმავლობაში, ქვეყნის ტერიტორიაზე ადრე ექსპლოატირებული, (ლარი) | კოდი | მათ შორის დანახარჯები გადაფორმებაზე (დღგ-ს ჩათვლით), (ლარი) |
| ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, სულ | 507 | | 508 | |
| გქონდათ თუ არა ბოლო კვარტლის განმავლობაში არარეზიდენტების (მათ შორის ინვესტორის ან კორპორაციული საწარმოს (მიმართ დავალიანება, მათ შორის სასესხო ვალდებულება?<br>შეავსეთ სასესხო ვალდებულება | | | 515 | ☐ დიახ ☐ არა<br>X გრაფიკული აღნიშვნის დასმის ნიმუში, გთხოვთ ჩასვათ შესაბამის უჯრაში |
| **კითხვარის შევსებაზე დახარჯული დრო** | | **სთ.** | | **წთ** |

**შენიშვნები და კომენტარები**

**წინამდებარე კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე: http:\\www.geostat.ge**

# პროდუქციის გამოშვება საწარმოს ძირითადი საქმიანობის სახის მიხედვით

(აღნიშნული დანართი შეივსება მხოლოდ საწარმოს ძირითადი საქმიანობის შედეგების მიხედვით)

| საწარმოს ძირითადი საქმიანობის სახე (გთხოვთ, შემოხაზოთ ან ხაზი გაუსვათ ძირითადი საქმიანობის შესაბამისი კოდს) | კოდი | საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია |
|---|---|---|
| | 01 | სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა |
| | 02 | თევზჭერა და მეთევზეობა |
| | 03 | სამთომოპოვებითი მრეწველობა |
| | 04 | დამამუშავებელი მრეწველობა |
| | 05 | ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება |
| | 06 | მშენებლობა |
| | 07 | ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; |
| | 08 | სასტუმროები |
| | 09 | რესტორნები |
| | 10 | ტრანსპორტი |
| | 11 | კავშირგაბმულობა |
| | 12 | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა |
| | 13 | განათლება |
| | 14 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება |
| | 15 | კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა |

ძირითადი საქმიანობის სახეში უნდა შემოიხაზოს საქმიანობა, რომელიც ძირითად საქმიანობადაა დაფიქსირებული კითხვარის ძირითად ნაწილში (გვ. 2, V ნაწილის I სტრიქონი),

მაგალითი 1. თუ საწარმო ახორციელებს პურის ცხობას და აღნიშნული წარმოადგენს მისთვის ძირითადი საქმიანობის სახეს, მაშინ ძირითადი საქმიანობის სახის ცხრილში შემოიხაზება კოდი „04“ - „დამამუშავებელი მრეწველობა“.

მაგალითი 2. თუ საწარმო ახორციელებს ალკოჰოლური სასმელების წარმოებას (დამამუშავებელი მრეწველობა) და აღნიშნული წარმოადგენს მისთვის ძირითადი საქმიანობის სახეს, მაგრამ გარდა ამისა იგი ახორციელებს პურის ცხობასაც (დამამუშავებელი მრეწველობა), ასეთ შემთხვევაში საქმიანობის სახის ცხრილში შემოიხაზება კოდი "04" - "დამამუშავებელი მრეწველობა", ხოლო ქვემოთ მოტანილ ცხრილში ჩაიწერება ორივე საქმიანობის მიხედვით შეჯამებული მაჩვენებლები.

| მაჩვენებლის დასახელება | კოდი | (ლარი) | კომენტარი |
|---|---|---|---|
| ბრუნვა | 01 | | გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახუ-რების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით) დღგ-სა და აქციზის გარეშე. ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები. |
| კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება | 02 | | საკუთარი მოხმარების ან ინვესტირებისათვის წარმოებული პროდუქ-ცია, რაც გაანგარიშდება მიმდინარე ფასების მიხედვით. აქვე მიუთი-თეთ ხარჯები ფიქსირებული აქტივების საკუთარი ძალებით განხორციელებულ კაპიტალურ რემონტზე |
| უსასყიდლოდ გაცემული საკუთარი წარმოების მზა პროდუქცია | 03 | | საქველმოქმედო ან სხვა მიზნით უსასყიდლოდ გაცემული მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქცია, მიმდინარე ფასებში |
| შრომის ანაზღაურება რომელიც გაიცა დასაქმებულ პერსონალზე ნატურალური სახით | 04 | | შრომის ანაზღაურება, რომელიც გაიცა დასაქმებულ პერსონალზე საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის სახით კვარტალის განმავლობაში. |
| სხვა გარე ხარჯები | 04.1 | | აღნიშნული სტრიქონი განკუთვნილია აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საქმიანობით დაკავებული საწარმოებისათვის, რომლებიც მიუთითებენ საანგარიშო პერიოდში მომხმარებლისათვის მოგების სახით გაცემული თანხის მოცულობას |
| სუბსიდიები პროდუქციაზე | 04.2 | | ჩაიწერება სუბსიდიები პროდუქციაზე, ანუ უშუალოდ ბრუნვასთან და-კავშირებული სუბსიდიები, რომელიც დარიცხული იქნა პროდუქციის მოცულობის პროპორციულად. |
| გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები | 05 | | კვარტალის განმავლობაში შესყიდული საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია ფორმისა და თვისებების შეუცვლელად გადაყიდვისათვის. მაჩვენებელი გაანგარიშდება შესყიდვის ფასებში დღგ-სა და აქციზის გარეშე. |
| | | საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის / საანგარიშო პეროდის ბოლოსათვის | |
| დაუმთავრებელი წარმოების მოცულობა | 06.1 | 06.2 | აღნიშნულ სტრიქონებში აისახება დაუმთავრებელი წარმოების მოცუ-ლობა საანგარიშო პერიოდის დასა-წყისისა და ბოლოსათვის დაუმთავ-რებელი წარმოების მოცუ-ლობა (ღვინის წარმოება და ა.შ.) შეფასდება მიმდინარე ფასებში კვარტალის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული ხარჯების მიხედ-ვით, მოსალოდნელი მოგების გათვალისწინებით (ჩათ-ვლით). სტრ. 06 და 07 განკუთვნილია იმ საწარმოებისათვის რომელთა საქ-მიანობაა(ძირითადი ან არაძირითადი) სოფლის მეურნეობა, მრეწვე-ლობა და მშენებლობა. მრეწველობა (დამკვეთისათვის შესრულებული დაუმთავრებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობის გარდა). |
| მზა პროდუქციის მარაგები | 07.1 | 07.2 | აღნიშნულ სტრიქონებში აისახება მზა პროდუქციის მარაგების მოცუ-ლობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. საკუთარი წარმოების პროდუქცია, რომელიც მზადაა მიწოდებისათვის ან გასაყი-დად, მიმდინარე ფასებში, მოსალოდნელი მოგების გათვალისწინებით (ჩათვლით). |
| გადაყიდვისათვის განკუთვნილი საქონლის მარაგები | 08.1 | 08.2 | აღნიშნულ სტრიქონებში აისახება გადაყიდვისათვის განკუთვნილი სა-ქონლის (შეძე-ნილი საქონელი, რომელიც ფორმისა და თვისების შეუ-ცვლელად უნდა გადაიყიდოს) მარაგების მოცულობა საანგარიშო პერი-ოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. |
| პროდუქციის გამოშვება | 09 | | *01 + 02 – 04.1 + 04.2 – 05 + (06.2-06.1) + (07.2-.7.1) + (08.2-08.1)* |

## მოდული A. გამოშვებული პროდუქცია

| ივსება მხოლოდ იმ საწარმოებისათვის, რომელტა საქმიანობაა (ძირითადი და არაძირითადი): სამთომომპოვებელი მრეწველობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება **გთხოვთ მიუთითოთ გამოშვებული საქონლის სახეები ცალ-ცალკე სტრიქონებში** | **პკ-ის კოდი** ▼ | | **ზეკ-ის** კოდი ▼ | **რაოდენობა** ▼ | **გამოშვებული პროდუქცია** (მიმდინარე ფასებში, მოსალოდნელი მოგების გათვალისწინებით (ჩათვლით)) (ლარი) ▼ |
|---|---|---|---|---|---|
| **1** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **2** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **3** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **4** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **5** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **6** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **7** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **8** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **9** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |
| **10** (დასახელება) | | (ზომის ერთეული) | | | |